პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „სასტუმრო მომსახურება“ რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დამატების შესახებ ავტორიზაციის

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: მაია თოიძე
წევრები:
თამთა კვინიკაძე

(ლანჩხუთი, 2022)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: კოლეჯი "ჰორიზონტი"

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 237079497

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

,,პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და ა(ა)იპ კოლეჯ "ჰორიზონტში" ვიზიტის შესახებ" სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 12 დეკემბრის №MES 2 22 0001587705 საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა, შემდეგი შემადგენლობით: **თოიძე მაია (ჯგუფის თავმჯდომარე) და თამთა კვინიკაძე (ჯგუფის წევრი)** განახორციელა დაწესებულების მიერ პროგრამის დამატების განაცხადის ფორმით წარმოდგენილი **,,სასტუმრო მომსახურების"**, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მეოთხე დონე) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მეორე სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება.

ზემოაღნიშნული ბრძანების შესაბამისად: შემუშავდა ვიზიტის განრიგი, შესწავლილი იქნა თვითშეფასების განაცხადით წარმოდგენილი მტკიცებულებები. ვიზიტი განხორციელდა კოლეჯის ლანჩხუთის მისამართზე (ლანჩხუთი, ჟორდანიას ქ. N 76 მიმდებარე ტერიტორია), 2022 წლის 22 დეკემბერს.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილი იქნა დამატებითი მტკიცებულებები, ავტორიზაციის მეორე სტანდარტის თითოეული ინდიკატორის შეფასების მიზნით.

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, დაწესებულებას მეორე სტანდარტის მეორე კომპონენტი (2. 2) შეფასებული ჰქონდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისი" და წარმოდგენილი იყო შესაბამისობის გეგმა. თუმცა წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში მითითებული თარიღით დარღვეული იყო მეტწილი შესაბამისობისათვის განსაზღვრული პერიოდი - 6 თვე. დაწესებულების განმარტებით ეს იყო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ტექნიკური ხარვეზი და წარმოადგინეს ცვლილების ბრძანება, რომლითაც ისევ დარღვეული იყო ინდიკატორის შესაბამისობაში მოყვანის ექვსთვიანი ვადა. შესაბამისად, ექსპერტთა დასკვნის პროექტის მიხედვით, **2.2 კომპონენტის ნაწილში პროგრამა შეფასდა როგორც ,,არ შეესაბამება“ და საბოლოო შეფასებაც იყო ,,არ შეესაბამება“.**

2023 წლის 20 იანვრის MES 6 23 0000055655 კორესპონდენციით კოლეჯმა წარმოადგინა ახალი შესაბამისობის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაზიარებულია წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა და **2.2 კომპონენტის ნაწილში პროგრამა შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“ . პროგრამის საბოლოო შეფასებაც არის ,,მეტწილად შესაბამისი“.** დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია აღწერილობით ნაწილში.

ვიზიტი იყო თანამშრომლობითი. ექსპერტთა ჯგუფის მიერ 2.2 კომპონენტთან მიმართებაში გაცემულია სამი შესაბამისობის რეკომენდაცია. ასევე, დაწესებულების განვითარების მიზნით გაცემულია განმავითარებელი რეკომენდაციები.

<u>აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის განხორციელების მისამართზე დაწესებულების შენობა საჯარო რეესტრში არ არის რეგისტრირებული. აღნიშნული საკითხთან დაკავშირებით ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება მიმდინარე წარმოების პარალელურად განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლები.</u>

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

არ გამოვლენილა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ლანჩხუთის მისამართზე დაწესებულება პროგრამას პირველად იმატებს. ბოლო ვიზიტი იყო გორაბერეჟოულის მისამართზე და ოთხი პროგრამის ფარგლებში გაცემულია ერთი და იმავე ტიპის შემდეგი განმავითარებელი რეკომენდაციები:

2.1.1 (1) - რეკომენდებულია პროგრამის დამატების მიზანშეწონილობის დასაბუთებისას დაწესებულებამ გაანალიზოს რამდენადაა შესაძლებელი ახალი პროგრამის ამოქმედების პირობებში მისი განხორციელების სრულფასოვანი ადმინისტრაციული მხარდაჭერა, პროგრამის განხორციელება ხომ არ საჭიროებს რაიმე დამატებითი რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას, კოლეჯმა უნდა მიმოიხილოს მის სამოქმედო არეალში კონკურენტი პროვაიდერების არსებობა, პროგრამის კონტექსტში. ასახოს საკუთარი ძლიერი მხარეები კონკურენტებთან მიმართებით. დაასაბუთოს თუ რატომ უნდა განახორციელოს ეს პროგრამა მან და ხომ არ გამოიწვევს პროგრამის დამატებითი ფუნქციონირება კვალიფიციური ადამიანური რესურსის სიჭარბეს, შეაფასოს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ადამიანური და მატერიალურ - ტექნიკური მოთხოვნები, საგანმანათლებლო რესურსები. განსაზღვროს თუ რა სახის შესაბამისობა გააჩნია უკვე და რა ნაწილში იქნება საჭირო დამატებითი ინვესტირება.

<u>რეკომენდაციის შესრულება</u> *<u>- არ არის შესრულებული. მიმდინარე ვიზიტის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფს აქვს რეკომენდაცია პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით.</u>*

2.2.1-1 რეკომენდებულია კოლეჯმა გორაბერეჟოულის ფილიალისთვის შეძენილი ინვენტარის გადაცემა მატერიალურად პასუხისმგებელ პირთან გააფორმოს შიდა მიღება-ჩაბარების აქტით.

<u>კომენტარი</u> *<u>- აღნიშნული რეკომენდაცია ეხება გორაბერეჟოულის მისამართს. ანალოგია კი ლანჩხუთის მისამართზე ვერ შემოწმდებოდა, რადგან მატერიალური რესურსი არ არის შეძენილი.</u>*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.1-6 რეკომენდებულია მარეგულირებელ დებულებაში გაიწეროს სასწავლო რესურსების ადაპტირების წესი.

რეკომენდაციის შესრულება - *შესრულებულია*

2.3.1-1 რეკომენდებულია კვლევის ეტაპზე პასუხისმგებელი პირების მიერ მოხდეს იმ დაწესებულებების საუკეთესო პრაქტიკის ანალიზი, რომლებიც ახორციელებენ აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამას, ასევე გაეცნონ დამსაქმებელთა მოთხოვნებს რა უნარ-ჩვევებს მოითხოვენ კონკრეტული პროგრამის კურსდამთავრებულთაგან და იხელმძღვანელონ პროგრამის განვითარების და დახვეწის პროცესში.

რეკომენდაციის შესრულება - შესრულებულია. დაწესებულება თავად ახორციელებს აღნიშნულ პროგრამას. შემუშავებისას გაითვალისწინა, ხოლო დანერგვისას გაითვალისწინებს საკუთარ გამოცდილებას.

4.2-2 რეკომენდებულია დაწესებულებამ მარეგულირებელ წესში განსაზღვროს ვერიფიკაციის პერიოდულობა (რამდენ ხანში ერთხელ უნდა ჩატარდეს).

რეკომენდაციის შესრულება - *შესრულებულია.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ დაფიქსირებულა.

VII. რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაცია

2.2.1 (1) ვიზიტის მომენტისათვის პროგრამისათვის საჭირო მატერიალური რესურსი არ იყო შესყიდული.

დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 20 იანვრის №04-11 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა, რომელსაც დანართების სახით ახლავს სასტუმრო მომსახურების პროგრამისათვის შესასყიდი მატერიალური რესურსის ჩამონათვალი. განსაზღვრულია თანხის ოდენობა და დაწესებულებას გააჩნია შესაბამისი ფინანსური რესურსი.

დაწესებულებას ეძლევა შესაბამისობის რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში (მაქსიმუმ 6 თვე - 2023 წლის 20 ივლისი) უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსის შესყიდვა.

2.2.1 (3) პროგრამის ყველა განმახორციელებელს არ აქვს მონაწილეობა მიღებული სწავლებისა და შეფასების ტრენინგებში. დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 20 იანვრის №04-11 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა. განსაზღვრულია თანხის ოდენობა და დაწესებულებას გააჩნია შესაბამისი ფინანსური რესურსი.

კოლეჯს ეძლევა შესაბამისობის რეკომენდაცია, უზრუნველყოს პროგრამის განმახორციელებლები შესაბამისი მხარდაჭერით, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში (მაქსიმუმ 6 თვე - 2023 წლის 20 ივლისი);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.1 (5) ვიზიტისას პროგრამისათვის საჭირო სასწავლო რესურსი ადგილზე ჰქონდათ, თუმცა ბიბლიოთეკისათვის განკუთვნილი ფართი არ იყო აღჭურვილი.

დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 20 იანვრის №04-11 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა, რომელსაც დანართის სახით ახლავს ბიბლიოთეკისათვის შესასყიდი მატერიალური რესურსის ჩამონათვალი. განსაზღვრულია თანხის ოდენობა და დაწესებულებას გააჩნია შესაბამისი ფინანსური რესურსი.

დაწესებულებას ეძლევა შესაბამისობის რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში (მაქსიმუმ 6 თვე - 2023 წლის 20 ივლისი) უზრუნველყოს ბიბლიოთეკის შესაბამისი მატერიალური რესურსით აღჭურვა.

განმავითარებელი რეკომენდაციები:

2.1.1 (1) - რეკომენდებულია დაწესებულებამ გაითვალისწინოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით და მიზანშეწონილობის დასაბუთებაში კონცეპტუალურ და ეკონომიკურ ასპექტებთან ერთად გამოკვეთოს პროგრამის განხორციელების რესურსული და ოპერაციული მიზანშეწონილობის ასპექტები.

2.1.1 (3) - დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის წერილობითი დასაბუთების დოკუმენტში დეტალურად ასახოს თავისი არგუმენტირებული პოზიცია მოთხოვნილ კვოტასთან დაკავშირებით, მის მიერ შემუშავებული კვოტის განსაზღვრის მეთოდოლოგიით გათვალისწინებული ყველა ინდიკატორის მიხედვით.

2.1.1 (8) - ,,სასტუმრო მომსახურების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით გაცემულია შემდეგი განმავითარებელი რეკომენდაციები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

✓ გადაიხედოს ინტეგრირებული პროგრამის სასწავლო გეგმა და ინტეგრირებული ზოგადი მოდულის ,,მეცნიერება და ტექნოლოგიები“ მიმართულებები (ბიოლოგიური პროცესები; ფიზიკური მოვლენები; ქიმიური პროცესები; გეოგრაფია) კვირაში 1-1 საკონტაქტო საათით არ ისწავლებოდეს.

✓ რეკომენდებულია მოდულებში: ,,სასტუმროსა და რესტორნის-სამზარეულოს დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფა: და ,,სასტუმროს კვებისა და სასმელების მომსახურების უზრუნველყოფა“, მოდულის განხორციელების დამატებითი ინფორმაციის ველში, აისახოს ინფორმაცია რომელი სწავლის შედეგები მიიღწევა პარტნიორის ბაზაზე.

✓ პროგრამის ძირითად დოკუმენტში გაჩნდეს ჩანაწერი, იმასთან დაკავშირებით, რომ რომ ეს არის კოოპერაციული პროგრამა და პროფესიული მოდულების მოცულობის რამდენი % მიიღწევა პარტნიორი ორგანიზაციების ბაზაზე (ორთავე მიდგომის შემთხვევაში).

2.1.1. (8) დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ პროგრამის დანართში - ,,პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსი“ კვალიფიკაცია/ კომპეტენციის ველში მიუთითოს ის კონკრეტული კვალიფიკაცია ან/და გამოცდილება რისთვისაც შეირჩა პირი კონკრეტული მოდულის განმახორციელებლად.

2.1.1. (8) დაწესებულებამ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების მეთოდოლოგიით სავალდებულოდ განსაზღვროს პროგრამის შემუშავების სამუშაო ჯგუფის ფარგლებში სასწავლო გეგმით შუალედური შეფასების ჩატარების პერიოდის განსაზღვრის აუცილებლობა და ,,სასტუმრო მომსახურების“ პროგრამითაც (მაგალითად, სასწავლო გეგმით) განისაზღვროს შუალედური შეფასების ჩატარების პერიოდი.

ზოგადი რეკომენდაცია - დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია გაასწოროს ვიზიტის პერიოდში დაფიქსირებული ტექნიკური ხარვეზები (იხილეთ ნაწილი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	სასტუმრო მომსახურება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასტუმრო მომსახურებაში / Secondary Vocational Qualification in Hotel Service
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1013
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	№04-175; 15.11.2022
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, ჟორდანიას ქ.N 76 მიმდებარე ტერიტორია
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური (კოოპერაციული)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	მოდულური (კოოპერაციული) - 30 პროფესიული სტუდენტი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი,ჟორდანიას ქ.N 76 მიმდებარე ტერიტორია
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	30
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	86
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	176
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☒	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	**სრული 3**	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი **2**	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	**სრული 3**	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	**მეტწილი 2**	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას

დაწესებულებას შემუშავებული აქვს მისია, მისიიდან გამომდინარე ხედვა და 2019 – 2025 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა. აღნიშნული დოკუმენტების ანალიზით დგინდება, რომ კოლეჯისთვის ტურიზმი ერთ - ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა და სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებულია კოლეჯის საქმიანობის არეალის გაფართოება გორაბერეჟოულისა და ლანჩხუთის მისამართებზე. უკვე 2023 წლიდან კოლეჯი აპირებს ლანჩხუთის მისამართზე პროგრამების განხორციელებას, მათ შორის, ტურიზმის სფეროდან - ,,სასტუმრო მომსახურების“ პროგრამის დანერგვას. კოლეჯის ერთწლიანი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია პროგრამების დამატების საკითხი, თუმცა არ არის დაკონკრეტებული რომელი პროგრამების დამატება იგეგმებოდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის, შეფასების განვითარებისა და გაუქმების წესი“ ითვალისწინებს პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებას. შესაბამისად, კოლეჯის მიერ წარმოდგენილია ,,მიზანშეწონილობის დასაბუთება“.

გურიაში ბოლო სამი წლის მანძილზე ტურიზმის სფეროს განვითარების კვალდაკვალ მნიშვნელოვნად გაიზარდა ტურისტების რაოდენობაც, რამაც თავის მხრივ წარმოშვა ახალი განთავსების ობიექტების შექმნის აუცილებლობა, მხოლოდ 2017 წელს გურიაში ახალი 108 განთავსების ობიექტი გაიხსნა 1760 ოთახით. მათ შორის, გამორჩეულია ხუთ ვარსკვლავიანი სასტუმრო ,,პარაგრაფი“. რეგიონში იზრდება ვიზიტორთა რიცხვი, ტურიზმის განვითარებასთან ერთად აქტუალური ხდება მომსახურების სფეროს თანამშრომელთა მომზადებისა და კვალიფიკაციის საკითხი. წარმოიშვა მოთხოვნა სასტუმრო მომსახურების სპეციალისტებზეც. წარმოდგენილია კოლეჯის მიერ ჩატარებული შრომის ბაზრის სეგმენტური კვლევის მასალა, რომლის თანახმად, დამსაქმებლებს აქვთ მზარდი სურვილი ითანამშრომლონ კოლეჯთან. აქვთ მზაობა დაასაქმონ კურსდამთავრებულები.

გარდა ამისა, თვითშეფასებაში აქცენტი გაკეთებულია და ხელმძღვანელობამაც ისაუბრა იმის თაობაზე, რომ კოლეჯის სამოქმედო გეგმის ერთ ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად განისაზღვრა კოლეჯში ინტეგრირებული სწავლების დანერგვა. გამომდინარე იქიდან, რომ ინტეგრირებული სწავლება ე.წ. საგანმანათლებლო ჩიხების აღმოფხვრის მიზნით წარმოადგენს 2013- 2021 წლების პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის ერთ - ერთ ამოცანას.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, დასტურდება, რომ კოლეჯის გადაწყვეტილება ,,სასტუმრო მომსახურების“, რომელშიც ინტეგრირებილია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის განხორციელების შესახებ, ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება კოლეჯის მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

ამასთან, წარმოდგენილი მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტი მოიცავს ინფორმაციას პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის მხოლოდ კონცეპტუალური და ეკონომიკური ასპექტების შესახებ. **შესაბამისად, რეკომენდებულია დაწესებულებამ გაითვალისწინოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით და <u>მიზანშეწონილობის დასაბუთებაში კონცეპტუალურ და ეკონომიკურ ასპექტებთან ერთად გამოკვეთოს პროგრამის განხორციელების *რესურსული და ოპერაციული მიზანშეწონილობის ასპექტები.*</u>**

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,სასტუმრო მომსახურება“ დაშვების წინაპირობაა მინიმუმ სრული ზოგადი განათლება, ხოლო ინტეგრირებული სასწავლო გეგმის ფარგლებში - საბაზო განათლება, რაც შესაბამისობაშია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებულ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის - ,,სასტუმრო, რესტორანი და კვება“ მოთხოვნებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი არეგულირებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვისა და შერჩევის, ზოგადად, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებასთან დაკავშირებულ საკითხებს. კერძოდ, კოლეჯის დირექტორი, ყოველწლიურად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, განსაზღვრავს აპლიკანტთა შეფასების მეთოდებსა და ეტაპებს, თითოეულ იმ საბაზო და საშუალო (მათ შორის, ინტეგრირებულ) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე; პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში) რომელზეც შესაბამის წელს ცხადდება მიღება. ასევე, რეგულაცია ითვალისწინებს სსსმ პირთა შერჩევის პროცედურის თავისებურებებს.

კოლეჯი ,,სასტუმრო მომსახურების“ მოდულურ პროგრამას ახორციელებს ოზურგეთის მისამართზე. ბოლო ორი წლის მანძილზე აპლიკანტთა შერჩევისათვის განისაზღვრა მოტივაციური გასაუბრება. მეთოდოლოგია შემოთავაზებული იყო ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ და კონკრეტული დავალებები შეიმუშავეს პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლებმა. ლანჩხუთის მისამართზეც კოლეჯი ისარგებლებს არსებული გამოცდილებით.

ზემოაღნიშნული წესით, დამტკიცებულია აპლიკანტთა მიერ ჩარიცხვისათვის საჭირო საბუთების ნუსხა. რეგულაცია ითვალისწინებს, რომ კოლეჯის იმ პროგრამებზე, რომელიც ხორციელდება ჩოხატაურში, გორაბერეჟოულის სასწავლო ფართის მისამართზე, ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაცია მიიღება მისამართზე: ჩოხატაური სოფელი გორაბერეჟოული. ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაცია ასევე, მიიღება ელექტრონულად, კოლეჯის ელექტრონული ფოსტის მისამართზე info@horizonti.ge. დაწესებულების დირექტორს ასევე, გამოცემული აქვს ბრძანება, რომლის მიხედვითაც, კოლეჯში არსებული ყველა რეგულაცია ვრცელდება ლანჩხუთის სასწავლო მისამართზეც თუ საკითხი არ არის დარეგულირებული ალტერნატიული ბრძანებით. შესაბამისად,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ლანჩხუთის მისამართის შემთხვევაში აპლიკანტი საბუთებს წარადგენს ან ლანჩხუთის მისამართზე ან კოლეჯის ელექტრონულ მისამართზე (ისევე, როგორც ხდება გორაბერეჟოულის მისამართზე).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტები ადასტურებენ, რომ ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით

ა(ა)იპ კოლეჯში ,,ჰორიზონტი“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის (კვოტის) განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ (ა)იპ კოლეჯი ,,ჰორიზონტის“ დირექტორის 2022 წლის 07 ნოემბრის №04-152 ბრძანების მიხედვით, კვოტის განსაზღვრისას გათვალისწინებულია: სასწავლო გარემოს ოდენობა, ფართი (სტანდარტის მოთხოვნის შემთხვევაში) და მატერიალური რესურსი, ადამიანური რესურსის ოდენობა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიდგომა, მათ შორის, პარტნიორი კომპანიის მიერ მისაღები პროფესიული სტუდენტების ოდენობა, პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტის მიხედვით რენტაბელობის ზღვარი და სხვა ისეთი დამატებითი ფაქტორები, როგორიცაა: სხვადასხვა ცვლაში სწავლების შესაძლებლობა, პროგრამის მოთხოვნადობა შრომის ბაზარსა და აპლიკანტთა მხრიდან.

დაწესებულების მიერ, თვითშეფასების განაცხადით წარმოდგენილია ,,სასტუმრო მომსახურების“ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი ოდენობის დასაბუთება. პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას აქვს ერთი A, ერთი B გარემო (რომელიც საერთოა სხვა პროგრამებისთვისაც), 2 C გარემო (სასტუმროს ოთახის სიმულაცია და სამრეცხაო) და ერთიც A/C გარემო ინტეგრირებული ზოგადი მოდულისათვის ,,მეცნიერება და ტექნოლოგიები“. მოწოდებული ინფორმაციით აღნიშნულ ლაბორატორიაში განთავსდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოდულის ,,პირველადი გადაუდებელი დახმარება“ რესურსიც. აღჭურვილობა გათვლილია ჯგუფში 15 პროფესიულ სტუდენტზე. კვოტის განსაზღვრის დროს გათვალისწინებულია, რომ დაწესებულება მუშაობს ორ ცვლაში ან შეჭრილი გრაფიკითაც (საჭიროებისამებრ). გათვალისწინებულია პროგრამის სპეციფიკაც. სასწავლო გეგმა ისეა აგებული, რომ ერთ ცვლაში ერთდროულად, სხვადასხვა გარემოში სწავლებიდან გამომდინარე, შესაძლებელია 2 ჯგუფის სწავლება.

პროგრამა არის კოოპერაციული. ცალკეული სწავლის შედეგები მიიღწევა პარტნიორ ორგანიზაციებში. კერძოდ: სასტუმრო ,,ვილა რეტა“ - სთან გაფორმებული 2022 წლის 07 ნოემბრის N 6 ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების მიხედვით, სასტუმროს ბაზაზე მიიღწევა შემდეგი მოდულების შემდეგი სწავლის შედეგები: მოდულის ,,სასტუმროსა და რესტორნის - სამზარეულოს დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფა“ (სწავლის შედეგები: N 2, №4 და № 5); მოდულის ,,სასტუმროს კვებისა და სასმელების მომსახურეობის უზრუნველყოფა (სწავლის შედეგები: N2, №3, №4, №5, №6). სასტუმრო აცხადებს მზაობას სწავლებისათვის მიიღოს 15 პროფესიული სტუდენტი, თუმცა ჯგუფში არაუმეტეს 8 სტუდენტისა. პროგრამაზე აღნიშნული მოდულების საათობრივი დატვირთვა იძლევა სწავლების ორ სხვადასხვა ჯგუფში განხორციელების შესაძლებლობას.

მოდულისათვის საწარმოო პრაქტიკა (რომელიც ხორციელდება 30 საკონტაქტო საათით კვირაში) კოლეჯს გარდა ზემოაღნიშნული პარტნიორისა, ასევე ჰყავს პარტნიორი - ,,დარბაზი დავითი. ,,ა(ა)იპ კოლეჯს ,,ჰორიზონტი“ და ,,დარბაზი დავითი“ (სასტუმრო) შორის გაფორმებული 2022 წლის 07 ნოემბრის N11 ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების მიხედვით, სასტუმრო აცხადებს მზაობას პრაქტიკაზე მიიღოს არაუმეტეს 7 სტუდენტი ერთ მიღებაზე, ხოლო სასტუმრო ,,ვილა რეტა“- სთან დამატებით ,,საწარმოო პრაქტიკის“ მოდულის განსახორციელებლად გაფორმებულია ხელშეკრულება (2022 წლის 07 ნოემბრის №8), რომლითაც შედგა შეთანხმება საწარმოო პრაქტიკაზე ერთდროულად მიიღონ მაქსიმუმ 8 პროფესიული სტუდენტი. იმის გათვალისწინებით, რომ კოლეჯი მოთხოვნილი 30 კვოტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფარგლებში მიღებას გამოაცხადებს სხვადასხვა მიღების ფარგლებში 15-15 -ს, ერთდროულად პრაქტიკის ობიექტებზე 30 პროფესიული სტუდენტის განაწილების საჭიროება არ დგას და სასწავლო პროცესს ხელი არ შეეშლება.

შესაბამისად, ექსპერტები ადასტურებენ, რომ მოთხოვნილი კვოტა საკმარისია ორი სხვადასხვა მიღების ჯგუფებისათვის.

პროგრამისათვის კოლეჯს ჰყავს 26 პროფესიული განათლების მასწავლებელი. მათ შორის, 4 ზოგადი მოდულის მასწავლებელი, 10 ინტეგრირებული ზოგადი მოდულების და 12 პროფესიული მოდულების მასწავლებელი. თითოეულ მოდულზე (გარდა ინტეგრირებული ზოგადი მოდულებისა) გათვალისწინებულია მინიმუმ ორი პროფესიული განათლების მასწავლებელი. შესაბამისად, ადამიანური რესურსის მიხედვითაც, პროგრამის მდგრადობას საფრთხე არ ემუქრება.

მეთოდოლოგიის მიხედვით გასათვალისწინებელია პროგრამის ბიუჯეტის მიხედვით დადგენილი რენტაბელობის ზღვარი, რაც შეადგენს მინიმუმ 5 პროფესიულ სტუდენტს, ინტეგრირებული პროგრამისათვის კი - 7 პროფესიულ სტუდენტს.

ექსპერტები ადასტურებენ, რომ <u>დაწესებულებას შეუძლია „სასტუმრო მომსახურების“ პროგრამის ფარგლებში 30 პროფესიული სტუდენტის სწავლების განხორციელება.</u>

მეთოდოლოგიის გაცნობითა და პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუთი დადასტურებულია, რომ დაწესებულებამ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა ნამდვილად დაიანგარიშა მის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით, თუმცა აღნიშნული ინფორმაცია სრულყოფად არ იკითხება თვითშეფასების დანართით წარმოდგენილ დოკუმენტში, რაც აუცილებლად უნდა იქნას სამომავლოდ გათვალისწინებული პროგრამების დამატებისას.

ექსპერტებს აქვთ განმავითარებელი რეკომენდაცია, სხვა პროგრამების დამატებისას, დაწესებულებამ გაითვალისწინოს წინამდებარე რეკომენდაცია და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის წერილობითი დასაბუთების დოკუმენტში დეტალურად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოადგინოს თავისი არგუმენტირებული პოზიცია მოთხოვნილ კვოტასთან დაკავშირებით, კვოტის განსაზღვრის მეთოდოლოგიით გათვალისწინებული ყველა ინდიკატორის მიხედვით (რაც რეალურად გათვალისწინებული იყო, მაგრამ არ იყო ასახული დოკუმენტში).

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში სრულად არის გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით ,,სასტუმრო მომსახურება“ გათვალისწინებული მატერიალური რესურსი (ჯგუფში 15 პროფესიულ სტუდენტზე).

ასევე, ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსი და დადასტურებულია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა.

შესაბამისად, ექსპერტები ადასტურებენ, რომ ინდიკატორის მოთხოვნა დადასტურებულია.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან

პროგრამა მოიცავს არჩევით მოდულს ,,საწარმოო პრაქტიკა“ და მისი არსებობა ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი“ წესდებისა და ,,ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის, შეფასების განვითარებისა და გაუქმების წესის დამტკიცების შესახებ“ ,,ა(ა)იპ კოლეჯ ,,ჰორიზონტი“ - ს დირექტორის 2021 წლის 09 ივნისის №04-89 ბრძანების მიხედვით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სასტუმრო მომსახურება“ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის წლის 15 ნოემბერი N 04-175 ბრძანებით.

შესაბამისად, ექსპერტები ადასტურებენ, რომ ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სასტუმრო მომსახურება“ შემუშავებულია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის - „სასტუმრო რესტორანი და კვება“ (კვალიფიკაცია - **საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასტუმროს მომსახურება)** საფუძველზე. პროგრამის სახელწოდება შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და არ არის შეცდომაში შემყვანი.

შესაბამისად, ექსპერტები ადასტურებენ, რომ ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

,,ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის, შეფასების განვითარებისა და გაუქმების წესის დამტკიცების შესახებ“ ,,ა(ა)იპ კოლეჯ ,,ჰორიზონტი“ - ს დირექტორის 2021 წლის 09 ივნისის №04-89 ბრძანების მიხედვით, განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი და პროცედურა, პროგრამისადმი წაყენებული ძირითადი მოთხოვნები. რეგულაციის მიხედვით პროგრამის შემუშავება ხდება სამუშაო ჯგუფის ფარგლებში. წარმოდგენილია ,,ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი“ ლანჩხუთის სასწავლო ფართზე განსახორციელებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ ა (ა)იპ კოლეჯი ,,ჰორიზონტის“ დირექტორის 2022 წლის 15 ნოემბრის“ №04-160 ბრძანება და ,,სასტუმრო მომსახურების“ პროგრამის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შეხვედრების დამადასტურებელი ოქმები. დოკუმენტაციის მიხედვით, სამუშაო ჯგუფის წევრებია: დირექტორის მოადგილე (ჯგუფის თავმჯდომარე), სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერი ლანჩხუთის მისამართზე, ფინანსური მენეჯერი, შესყიდვების მენეჯერი, ბიბლიოთეკარ /არქივარიუსი, პროგრამის ხელმძღვანელი და პროფესიული მოდულის განმახორციელებელი.

ვიზიტის პერიოდში შედგა შეხვედრა სამუშაო ჯგუფთან. დადგინდა, რომ სამუშაო ჯგუფის ფარგლებში ისარგებლეს უკვე არსებული ,,სასტუმრო მომსახურების“ პროგრამით, რომელიც ხორციელდება ოზურგეთის მისამართზე და განხორციელდა მისი ადაპტირება ლანჩხუთის მისამართისთვის ისეთ საკითხებზე, როგორიცაა; გარემოს ოდენობა და ფართი, ადამიანური რესურსი, საწარმოო პრაქტიკის პარტნიორი ორგანიზაცია. რაც შეეხება სწავლებისა და შეფასების მეთოდებს, განმარტეს, რომ ვინაიდან მასწავლებელთა უმრავლესობა ახლადშერჩეულია და არ აქვთ პროფესიულ სასწავლებელში სწავლების გამოცდილება, ეტაპობრივად, მათ მიერ მოდულების შეფასების საფუძველზე გადაიხედება სწავლებისა და შეფასების მეთოდები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი პროგრამა. პროგრამის შემუშავების საფუძველია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის შესაბამისი ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი - ,,სასტუმრო, რესტორანი და კვება“ (სარეგისტრაციო ნომრით 10117-პ), ზოგადი მოდულები: ,,ქართული ენა A2” (სარეგისტრაციო ნომრით - 0110001), ქართული ენა B1 (სარეგისტრაციო ნომრით - 0110002) და ინტეგრირებულ ზოგადი მოდულები ინტეგრირებული სასწავლო გეგმისათვის (კომუნიკაცია ქართულ ენაზე - 0230000; მათემატიკური წიგნიერება - 0540000; მეცნიერება **და ტექნოლოგიები - 0580000;** მეწარმეობა 0480000; მოქალაქეობა - 0380000).

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზანი, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა არაინტეგრირებული პროგრამისათვის 15 სასწავლო თვეა, ხოლო ინტეგრირებულისათვის 3 სასწავლო წელი. სწავლებისა და შეფასების მეთოდები. საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში წარმოდგენილია პროგრამის ძირითადი დოკუმენტი, მოდულები და ორი სასწავლო გეგმა (ინტეგრირებული და არაინტეგრირებული მიდგომებისთვის). ასევე, მოდულებისათვის - ,,ქართული ენა A 2“ და ,,ქართული ენა B1“). დანართების სახით წარმოდგენილია მატერიალური რესურსის ჩამონათვალი და ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელთა თაობაზე.

პროგრამის №2 დანართში ,,პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსი“ ,,ველში“ - კვალიფიკაცია/გამოცდილება რითაც დასტურდება, რომ აღნიშნულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, ცალკეულ შემთხვევაში არ არის მითითებული ის კონკრეტული კვალიფიკაცია/კომპეტენცია რისთვისაც შეირჩა მასწავლებელი კონკრეტული მოდულის განმახორციელებლად. თუმცა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი დოკუმენტაცია სრულად აკმაყოფილებდა მოდულის განსახორციელებლად საჭირო *მოთხოვნებს.* **შესაბამისად, დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ პროგრამის დანართში - ,,პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსი" კვალიფიკაცია/ კომპეტენციის ველში მიუთითოს ის კონკრეტული კვალიფიკაცია ან/და გამოცდილება რისთვისაც შეირჩა პირი კონკრეტული მოდულის განმახორციელებლად.**

ინტეგრირებული პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით, ინტეგრირებული ზოგადი მოდულის ,,მეცნიერება და ტექნოლოგიები" ყველა მიმართულება ისწავლება პირველივე კვირიდან კვირაში 1-1 საკონტაქტო საათით და სრულდება მესამე სასწავლო წლის ბოლოს (გამონაკლისია გეოგრაფია, რომელსაც უფრო მცირე საათები აქვს დათმობილი და სრულდება 75-ე კვირაში), ექსპერტები თვლიან, რომ კვირაში 1-1 საკონტაქტო საათით აღნიშნული მიმართულებების ფარგლებში სწავლება არაეფექტიანია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ პროფესიულ სტუდენტთა შეფასება მიმდინარეობს კომპლექსური დავალებების გზით, რომელთა წარდგენას 1 საკონტაქტო საათი არც ეყოფა. ასევე, გასათვალისწინებელია, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია და გეოგრაფია 11- ე კლასში სრულდება და რეკომენდებულია იმავე მიდგომის გამოყენება. ასევე, ინტეგრირებული ზოგადი მოდულის დასრულების შემდეგ ჩასატარებელია ვერიფიკაცია და პროგრამის ადმინისტრირებისთვისაც უმჯობესი იქნება ინტეგრირებული ზოგადი მოდულების უმრავლესობა ერთად თუ არ დასრულდება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი შეფასება, გადაიხედოს ინტეგრირებული პროგრამის სასწავლო გეგმა და ინტეგრირებული ზოგადი მოდულის ,,მეცნიერება და ტექნოლოგიები" მიმართულებები (ბიოლოგიური პროცესები; ფიზიკური მოვლენები; ქიმიური პროცესები; გეოგრაფია) კვირაში 1-1 საკონტაქტო საათით არ ისწავლებოდეს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ასევე, რეკომენდებულია მოდულებში: „სასტუმროსა და რესტორნის-სამზარეულოს დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფა: და „სასტუმროს კვებისა და სასმელების მომსახურების უზრუნველყოფა“ , მოდულის განხორციელების დამატებითი ინფორმაციის ველში აისახოს ინფორმაცია რომელი სწავლის შედეგები მიიღწევა პარტნიორის ბაზაზე. აღნიშნული ინფორმაცია არ იკითხება პროგრამაში.

გარდა ზემოაღნიშნულისა, „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის /მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის /პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 09 აგვისტოს №416 დადგენილებიდან გამომდინარე, ექსპერტებს აქვთ შემდეგი განმავითარებელი რეკომენდაციები:

- **დაწესებულებამ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების მეთოდოლოგიით სავალდებულოდ განსაზღვროს პროგრამის შემუშავების სამუშაო ჯგუფის ფარგლებში სასწავლო გეგმით შუალედური შეფასების ჩატარების პერიოდის განსაზღვრა და „სასტუმრო მომსახურების“ პროგრამითაც განისაზღვროს შუალედური შეფასების ჩატარების პერიოდი.**
- **პროგრამის ძირითად დოკუმენტში გაჩნდეს ჩანაწერი, იმასთან დაკავშირებით, რომ რომ ეს არის კოოპერაციული პროგრამა და პროფესიული მოდულების მოცულობის რამდენი % მიიღწევა პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე (ორთავე მიდგომის შემთხვევაში).**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის მისია, ხედვა, სტრატეგიული განვითარების გეგმა (2019-2025) და 2023 წლის სამოქმედო გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ,,ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის, შეფასების განვითარებისა და გაუქმების წესის დამტკიცების შესახებ“ ,,ა(ა)იპ კოლეჯ ,,ჰორიზონტი“ - ს დირექტორის 2021 წლის 09 ივნისის №04-89 ბრძანება;
- ,,ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი“ ლანჩხუთის სასწავლო ფართზე განსახორციელებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ,,ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი“ დირექტორის 2022 წლის 15 ნოემბრის №04-175 ბრძანება;
- ,,ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი“ ლანჩხუთის სასწავლო ფართზე განსახორციელებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის შესახებ“ ა (ა)იპ კოლეჯი ,,ჰორიზონტის“ დირექტორის 2022 წლის 15 ნოემბრის“ №04-160 ბრძანება;
- პროგრამის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შეხვედრების დამადასტურებელი ოქმები;
- შრომის ბაზრის სეგმენტური კვლევის მასალა (შევსებული ანკეტები - ინტერვიუირება პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით და ანალიზის დოკუმენტი);
- სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი ,,სასტუმრო, რესტორანი და კვება“;
- ა(ა)იპ კოლეჯში ,,ჰორიზონტი“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის (კვოტის) განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ (ა)იპ კოლეჯი ,,ჰორიზონტის“ დირექტორის 2022 წლის 07 ნოემბრის“ №04-152 ბრძანება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

• ,,ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი“ სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ” ,,ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი“ დირექტორის 2021 წლის 06 დეკემბრის №04-202 ბრძანება (ცვლილება - 2022 წლის 07 ნოემბრის №04-145 ბრძანება)

• დაწესებულების მერ თვითშეფასების №14 დანართად წარმოდგენილი ,,შემუშავებული პროგრამებისთვის კვოტის განსაზღვრა“;

• ,,ა(ა)იპ კოლეჯს ,,ჰორიზონტი“ და სასტუმრო ,,ვილა რეტა“ - ს შორის გაფორმებული 2022 წლის 07 ნოემბრის N 6 და №8 ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულები;

• ,,ა(ა)იპ კოლეჯს ,,ჰორიზონტი“ და ,,დარბაზი დავითი“ (სასტუმრო) შორის გაფორმებული 2022 წლის 07 ნოემბრის N 11 ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება;

• კოლეჯის ვებ. გვერდზე განთავსებულია მისია და ხედვა;

• პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგი;

ექსპერტთა მიერ 2.1 კომპონენტი შეფასდა როგორც ,,შეესაბამება“

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

,,სასტუმრო მომსახურების" მოდულური პროგრამისათვის კოლეჯს გათვალისწინებული აქვს: ერთი A, ერთი B გარემო (რომელიც საერთოა სხვა პროგრამებისთვისაც), 2 C გარემო (სასტუმროს ოთახის სიმულაცია და სამრეცხაო) და ერთიც A/C გარემო ინტეგრირებული ზოგადი მოდულისათვის ,,მეცნიერება და ტექნოლოგიები". მოწოდებული ინფორმაციით აღნიშნულ ლაბორატორიაში განთავსდება მოდულის ,,პირველადი გადაუდებელი დახმარება" რესურსი. აღჭურვილობა გათვლილია ჯგუფში 15 პროფესიულ სტუდენტზე.

ვიზიტის პერიოდისათვის დასრულებული იყო სასწავლო გარემოთა სარემონტო სამუშაოები, მატერიალურ - ტექნიკური ბაზა არ იყო შესყიდული. შესყიდული და B გარემოში განთავსებული იყო მხოლოდ კომპიუტერის მაგიდები. შესყიდვების მიზნით, შესასყიდ რესურსთან დაკავშირებით მიმდინარეობდა ბაზრის შესწავლა, ასევე, გამოცხადებულია ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე (**NAT220025339) ავეჯის შესასყიდად. ტექნიკური დავალების მიხედვით ავეჯის ნაწილი განკუთვნილია სასტუმრო მომსახურების პროგრამისთვის.**

დაწესებულებას თვითშეფასების განაცხადით წარმოადგინა კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 15 ნოემბრის №04-177 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა, რომელსაც დანართების სახით ახლავს შესასყიდი მატერიალური რესურსის ჩამონათვალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(პროგრამის ყველა გარემოსათვის). *შესაბამისად, განაცხადით დაწესებულებას პროგრამა 2.2.1 კომპონენტის ნაწილში შეფასებული ჰქონდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“.*

შესაბამისობის გეგმაში ასახულია შესყიდვებისათვის გამოყოფილი ფინანსური რესურსი, რაც ასახულია დაწესებულების ბიუჯეტშიც. კერძოდ, C გარემოთა და A გარემოს აღჭურვილობისათვის გამოყოფილია 46 600 ლარი, B გარემოს აღჭურვისათვის - 30260 ლარი; ინტეგრირებული ზოგადი მოდულის ლაბორატორიის აღჭურვილობისათვის - 26996 ლარი და მოდულისათვის „პირველადი გადაუდებელი დახმარება“ - 2350 ლარი.

შესაბამისობის გეგმაში შესრულების ვადად, ველში - „დრო, შეფასების მომენტიდან დასრულებამდე“ მითითებული იყო 6 თვე, თუმცა დასრულების სავარაუდო თარიღად მითითებულია - 01.07.2023. რაც რეალურად არის 6 თვეზე მეტი (7,5 თვე), შეუსაბამობის იდენტიფიცირების პერიოდიდან (2022 წლის 15 ნოემბერი- ბრძანების გამოცემის თარიღი).

<u>დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, ეს იყო ტექნიკური ხარვეზი და ვიზიტის დღეს, კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 22 დეკემბრის №04-217 ბრძანებით ცვლილება შევიდა ზემოაღნიშნულ ბრძანებაში (იხილეთ დანართი №2), თუმცა ინდიკატორის შესაბამისობაში მოყვანის საბოლოო თარიღად განსაზღვრულია 2023 წლის 22 ივნისი, რაც ისევ არის 6 თვეზე მეტი და შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული.</u>

<u>ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა დასკვნის პროექტში 2.2.1 კომპონენტის პირველი ინდიკატორი შეაფასა როგორც „არ შეესაბამება“.</u>

დაწესებულებამ 2023 წლის 20 იანვარს ცენტრში № MES 6 23 0000055655 კორესპონდენციით წარადგინა კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 20 იანვრის №04-11 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა (დანართი №4), რომლის მიხედვით შესყიდვების პროცესი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასრულდება ბრძანების დამტკიცებიდან 6 თვის ვადაში. შესაბამისობის გეგმას დანართების სახით ახლავს სასტუმრო მომსახურების პროგრამისათვის შესასყიდი მატერიალური რესურსის ჩამონათვალი (პროგრამის ყველა გარემოსათვის). აღნიშნული ბრძანებით კოლეჯმა ასევე ძალადაკარგულად გამოაცხადა ავტორიზაციის სტანდარტებთან დაკავშირებით დამტკიცებული ყველა შესაბამისობის გეგმა.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 20 იანვრის №04-11 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა და ის გაზიარებულია ჯგუფის მიერ.

<u>დაწესებულებას ეძლევა შესაბამისობის რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში (მაქსიმუმ 6 თვე - 2023 წლის 20 ივლისი) უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსის შესყიდვა.</u>

პროგრამის ფარგლებში მოდულების ,,სასტუმროსა და რესტორნის - სამზარეულოს დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფა“ (სწავლის შედეგები: N 2, №4 და № 5) და ,,სასტუმროს კვებისა და სასმელების მომსახურეობის უზრუნველყოფა (სწავლის შედეგები: N2, №3, №4, №5, №6) მიიღწევა პარტნიორი სასტუმროს ,,ვილა რეტა“ ბაზაზე. სასტუმრო აცხადებს მზაობას სწავლებისათვის მიიღოს 15 პროფესიული სტუდენტი, ასევე, მოდული ,,საწარმოო პრაქტიკა“ ხელშეკრულებების ფარგლებში განხორციელდება სასტუმრო ,,ვილა რეტასა“ და სასტუმრო ,,დარბაზი დავითის“ ბაზებზე.

ექსპერტთა ჯგუფი იმყოფებოდა სასტუმრო ,,ვილა რეტაში“ დაათვალიერეს სასწავლო გარემო. შედგა ინტერვიუ მოდულების განმახორციელებელთან და დადასტურებულია პრაქტიკის ბაზაზე სწავლების შესაძლებლობა.

შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით, ინდიკატორი ფასდება როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

მოდულური პროგრამით ,,სასტუმრო მომსახურება“ გათვალისწინებულია 26 (ოცდაექვსი) პროფესიული განათლების მასწავლებელი. მათ შორის, 4 (ოთხი) ზოგადი მოდულების, 10 ინტეგრირებული ზოგადი მოდულებისა და 12 (თორმეტი) - დარგობრივი მოდულების განმახორციელებელია. პროგრამის №2 დანართიდან ჩანს, რომ მოდულების განხორციელებისათვის (გარდა ინტეგრირებული ზოგადი მოდულებისა) კოლეჯს გათვალისწინებული ჰყავს 2-2 პროფესიული განათლების მასწავლებელი.

გასაუბრებისას ზოგადი და პროფესიული განათლების მასწავლებლებმა დაადასტურეს კოლეჯთან თანამშრომლობის მზაობა. კოლეჯმა წარმოადგინა პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებული წინარე ხელშეკრულებები, რომლებიც შესაბამისობაშია პროგრამის №2 დანართთან - ,,პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსი“. <u>აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელთა წინარე ხელშეკრულებებში ჩაწერილა პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობებიც. რაც წარმომადგენლის განმარტებით არის ტექნიკური ხარვეზი და დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია გაასწოროს ტექნიკური ხარვეზები.</u>

ექსპერტთა მოსაზრებით, პროგრამაზე პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობისა და პროგრამის სასწავლო გეგმაში მოდულების საკონტაქტო საათების ანალიზი იძლევა იმის დადასტურების შესაძლებლობას, რომ უზრუნველყოფილი იქნება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ა)იპ კოლეჯში ,,ჰორიზონტი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების: ,,ბუღალტრული აღრიცხვა“, ,,ელექტროობა“, ,,ვებტექნოლოგიები“, ,,თმის მომსახურება“, ,,სამკერვალო წარმოება“, ,,სკოლამდელი აღზრდა“, ,,სასტუმრო მომსახურება“ (განხორციელების ადგილი ლანჩხუთის სასწავლო ფართი) განხორციელების უფლების მოპოვებასთან დაკავშირებით მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების შესარჩევი ვაკანსიის გამოცხადების შესახებ“ ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი“ დირექტორის 2022 წლის 04 ნოემბრის №04-152 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული განათლების მასწავლებლებისადმი წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები. კერძოდ, ზოგადი და პროფესიული მოდულების განმახორციელებლებისათვის განისაზღვრა: უმაღლესი განათლება მოდულის შესაბამისი მიმართულებით ან უმაღლესი /პროფესიული განათლება (სხვა მიმართულებით) და სამწლიანი სამუშაო გამოცდილება მოდულის შესაბამისი მიმართულებით ან პროფესიული განათლება მოდულის შესაბამისი მიმართულებით. განსხვავებულად არის ჩამოყალიბებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები ინტეგრირებული ზოგადი მოდულების მასწავლებლებისათვის.

ექსპერტთა მიერ გამოთხოვილი იქნა პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი“ დირექტორის 2021 წლის 07 დეკემბრის №04-111 ბრძანების შესაბამისად, მასწავლებელთა პირად საქმეებში განთავსებულია: CV, განცხადება, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, პროფესიული გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (საჭიროების შემთხვევაში). დოკუმენტაციის ანალიზით დადასტურდა საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ან/და სამუშაო გამოცდილების შესაბამისობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რამდენიმე მასწავლებლის შემთხვევაში, მასწავლებელი განცხადებით ითხოვს კონკრეტული მოდულის ფარგლებში დანიშვნას, ხოლო პროგრამაში მითითებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განმახორციელებლად სხვა მოდულების ფარგლებშიც, რაზეც მასწავლებლის თანხმობა უკვე დადასტურებულია ხელშეკრულებაზე ხელმოწერით.

ვიზიტის პერიოდში განხორციელდა მოდულების განმახორციელებელ პირებთან ინტერვიუ. გამოიკვეთა, რომ მასწავლებელთა ნაწილს ჩაუტარდათ ტრენინგები სწავლებისა და შეფასების მიმართულებით (მათ შორის, ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს მხარდაჭერით), ნაწილს კი აღნიშნული ტრენინგები გავლილი არ აქვს. მასწავლებელთა ნაწილი საკმარისად არ იცნობს მოდულებს, რათა შეძლოს სასწავლო პროცესის წარმართვა. ტრენინგები ჯერ არ გაუვლიათ ინტეგრირებული ზოგადი მოდულების მასწავლებლებსაც.

პროგრამის განმახორციელებელთა პირადი დოკუმენტაციითა და გასაუბრებით დასტურდება, რომ მათ გააჩნიათ იმ მოდულების შესაბამისი კომპეტენცია, რომლის გამოც შეირჩნენ განმახორციელებლად, მაგრამ მათ ნაწილს არ აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

კოლეჯის შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ მასწავლებლებისათვის მხარდაჭერის აუცილებლობა და ამას გეგმავდნენ კიდეც. ვიზიტის დღეს დამტკიცდა კომპონენტთან შესაბამისობის გეგმა (ბრძ. №04-217; 22.12.22), რომლის მიხედვითაც, დაწესებულება მაქსიმუმ 6 თვის ვადაში უზრუნველყოფს ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით პროფესიული განათლების მასწავლებლების გადამზადებას (დანართი №2). კოლეჯს გააჩნია შესაბამისი ფინანსური რესურსი (3000 ლარი), ასევე, ისარგებლებენ ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს ტრენინგებით, რომლებიც ეტაპობრივად უკვე ტარდება კოლეჯებში.

ექსპერტთა მიერ დასკვნის პროექტში ინდიკატორი შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2023 წლის 20 იანვრის №04-11 ბრძანებით (დანართი №4) დაწესებულებამ ძალადაკარგულად გამოაცხადა ავტორიზაციის სტანდარტებთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაკავშირებით არსებული ყველა შესაბამისობის გეგმა და განმეორებით შეიმუშავა შესაბამისობის გეგმა. ზემოაღნიშნული შესაბამისობის გეგმის მიხედვით, პროფესიული განათლების მასწავლებელთა გადამზადების პროცესი დასრულდება 2023 წლის 20 ივლისისათვის (მაქსიმუმ 6 თვე).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კოლეჯს ეძლევა შესაბამისობის რეკომენდაცია პროგრამისთვის განსაზღვრული მასწავლებლები, რომლებსაც არ აქვთ მონაწილეობა მიღებული სწავლებისა და შეფასების ტრენინგებში, უზრუნველყონ შესაბამისი მხარდაჭერით, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში (მაქსიმუმ 2023 წლის 20 ივლისი).

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც განსაზღვრულია პროგრამის დამტკიცების აქტით. ,,ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი“ ლანჩხუთის სასწავლო ფართზე განსახორციელებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის შესახებ“ ა(ა)იპ კოლეჯი ,,ჰორიზონტის“ დირექტორის 2022 წლის 15 ნოემბრის“ №04-160 ბრძანების მიხედვით, პროგრამის ხელმძღვანელი იყო სამუშაო ჯგუფის წევრი და მონაწილეობა მიიღო პროგრამის შემუშავების პროცესში, რაც დადასტურებულია სამუშაო შეხვედრების ოქმებით და პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუთი.

,,ა (ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი“ ლანჩხუთის სასწავლო ფართზე თანამშრომლების სამუშაო აღწერილობების დამტკიცების შესახებ“ კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 01 სექტემბრის №04-106 ბრძანებით დამტკიცებულია პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის ხელმძღვანელთან გაფორმებული წინარე ხელშეკრულება პროფესიულ განათლების მასწავლებლის მოვალეობებთან ერთად, ასევე, მოიცავს პროგრამის ხელმძღვანელის შესაბამის მოვალეობებს.

პროგრამის ხელმძღვანელი დასაქმებულია სასტუმროში ,,ვილა რეტა“ და მასთან ინტერვიუთი დადასტურდა, რომ ის ძალიან კარგად იცნობს პროგრამას და არის დარგის კვალიფიციური კადრი.

ექსპერტები ადასტურებენ, რომ პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

დაწესებულებაში ვიზიტის მომენტში ბიბლიოთეკა არ იყო აღჭურვილი, მაგრამ გამოყოფილი იყო კომპიუტერი, რომელშიც ჩატვირთული იყო ელექტრონული რესურსი. ასევე, წარმოდგენილი იყო მატერიალური სახით წიგნადი ფონდი. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსი და დადასტურდა კოლეჯში მათი არსებობა. დაწესებულებას კოლეჯის ,,ჰორიზონტის“ მისამართიდან ლანჩხუთის მისამართზე გადმოცემული აქვს წიგნადი ფონდი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. აღნიშნული გადაცემა არ იყო დადასტურებული შესაბამისი აქტით და ვიზიტის დღეს გაფორმდა კოლეჯის ბიბლიოთეკარ /არქივარიუსსა და ლანჩხუთის მისამართზე სასწავლო პროცესის და სტუდენტური სერვისების მხარდაჭერის სპეციალისტს შორის მიღება- ჩაბარების აქტი წიგნადი ფონდის გადმოცემასთან დაკავშირებით (დანართი №3).

კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 17 თებერვლის №04-09 ბრძანებით დამტკიცებულია ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. გამოცემულია ბრძანება რომლის მიხედვით კოლეჯის ყველა რეგულაცია მოქმედებს ლანჩხუთის მისამართზე თუ დაწესებულების დირექტორის მიერ გამოცემული არ არის სხვა ალტერნატიული ბრძანება ლანჩხუთის მისამართისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ლანჩხუთის მისამართზე ბიბლიოთეკის ფუნქციონირების უზრუნველყოფა, ელექტრონულ სასწავლო რესურსებთან წვდომასთან დაკავშირებით კონსულტაციების ჩატარება, შედის სასწავლო პროცესის და სტუდენტური სერვისების მხარდაჭერის სპეციალისტის მოვალეობებში. დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 06 დეკემბრის # 04-202 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესით გათვალისწინებულია პროფესიული სტუდენტებისათვის საბიბლიოთეკო სერვისებისა და სარგებლობის წესების, ბიბლიოთეკის მკითხველად რეგისტრაციის ვალდებულებების გაცნობა. პროფესიული სტუდენტის გამოკითხვის კითხვარით ასევე ფასდება რამდენად არიან ინფორმირებული სტუდენტები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

მიუხედავად იმისა, რომ ადგილზე წარმოდგენილი იყო პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსი, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული, რადგან ბიბლიოთეკა არ იყო აღჭურვილი. დაწესებულებას თვითშეფასების ანგარიშში არარელევანტურად აქვს შეფასებული აღნიშნული ინდიკატორი (მითითებულია რომ ბიბლიოთეკა აღჭურვილია), თუმცა თვითშეფასებით წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა, რომელიც დანართის სახით მოიცავს ინფორმაციას საოფისე, მათ შორის ბიბლიოთეკის აღჭურვილობის შეძენასთან დაკავშირებით.

შესაბამისობის გეგმაში შესრულების ვადად, ველში - „დრო, შეფასების მომენტიდან დასრულებამდე“ მითითებული იყო 6 თვე, თუმცა დასრულების სავარაუდო თარიღად მითითებულია - 01.07.2023. რაც რეალურად არის 6 თვეზე მეტი (7,5 თვე), შეუსაბამობის იდენტიფიცირების პერიოდიდან (2022 წლის 15 ნოემბერი- ბრძანების გამოცემის თარიღი).

<u>დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, ეს იყო ტექნიკური ხარვეზი და ვიზიტის დღეს, კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 22 დეკემბრის №04-217 ბრძანებით ცვლილება შევიდა ზემოაღნიშნულ ბრძანებაში (იხილეთ დანართი №2), თუმცა ინდიკატორის</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

<u>შესაბამისობაში მოყვანის საბოლოო თარიღად განსაზღვრულია 2023 წლის 22 ივნისი, რაც ისევ არის 6 თვეზე მეტი და შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული.</u>

<u>ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა დასკვნის პროექტში 2.2.1 კომპონენტის მეხუთე ინდიკატორი შეაფასა როგორც „არ შეესაბამება“ და პროგრამაც შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“ .</u>

დაწესებულებამ 2023 წლის 20 იანვარს ცენტრში № MES 6 23 0000055655 კორესპონდენციით წარადგინა კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 20 იანვრის №04-11 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა (დანართი №4), რომლის მიხედვით ბიბლიოთეკის აღჭურვისათვის შესყიდვების პროცესი დასრულდება ბრძანების დამტკიცებიდან 6 თვის ვადაში.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 20 იანვრის №04-11 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა და ის გაზიარებულია ჯგუფის მიერ.

<u>დაწესებულებას ეძლევა შესაბამისობის რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში (მაქსიმუმ 6 თვე - 2023 წლის 20 ივლისი) უზრუნველყოს ბიბლიოთეკის აღჭურვისათვის გათვალისწინებული მატერიალური რესურსის შესყიდვა და ბიბლიოთეკის მოწყობა.</u>

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად

კოლეჯის სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი მოიცავს მექანიზმებს სასწავლო პროცესში შშმ და სსსმ პროფესიულ სტუდენტთა სწავლებასა და მხარდაჭერასთან დაკავშირებით. მათ შორის, სასწავლო რესურსის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ადაპტირებასთან დაკავშირებით. კერძოდ, საბიბლიოთეკო მომსახურება ითვალისწინებს საგანმანათლებლო რესურსის ელექტრონული ვერსიის დამზადებას; საგანმანათლებლო რესურსის ამობეჭდვას პროფესიული სტუდენტის საჭიროების შესაბამისი ზომის შრიფტით და სხვა მახასიათებლებით; პროფესიული განათლების მასწავლებელთა ჩართულობით საგანმანათლებლო რესურსის შინაარსობრივ ცვლილებას და მის მორგებას პროფესიული სტუდენტის საჭიროებაზე, რაც გულისხმობს ტექსტების გამარტივებას, ვიზუალური აღქმის შესაძლებლობას და სხვა. აღნიშნული ბრძანებით ასევე დარეგულირებულია ისგს- შემუშავების საკითხი.

ექსპერტები ადასტურებენ, რომ ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

კოლეჯი წარმოადგენს არასამეწარმეო არაკომერციულ იურიდიულ პირს და პროფესიული სტუდენტის სწავლა ვაუჩერულად ფინანსდება საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ. ასევე, კოლეჯი იღებს პროგრამულ დაფინანსებას. კოლეჯს შემუშავებული და წარმოდგენილი აქვს პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტები (ინტეგრირებული და არაინტეგრირებული). თვითშეფასების განაცხადით არ იყო წარმოდგენილი არაინტეგრირებული მიდგომის ბიუჯეტი და ის ექსპერტებს მიაწოდეს ვიზიტისას. რენტაბელობის ზღვარი, არაინტეგრირებული პროგრამისათვის შეადგენს მინიმუმ 5 პროფესიულ სტუდენტს, ინტეგრირებული პროგრამისათვის კი - 7 პროფესიულ სტუდენტს.

შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - სასტუმრო მომსახურება (რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები);
- ,,ა(ა)იპ კოლეჯს ,,ჰორიზონტი“ და სასტუმრო ,,ვილა რეტა’ - ს შორის გაფორმებული 2022 წლის 07 ნოემბრის N 6 და №8 ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულები;
- ,,ა(ა)იპ კოლეჯს ,,ჰორიზონტი“ და ,,დარბაზი დავითი“ (სასტუმრო) შორის გაფორმებული 2022 წლის 07 ნოემბრის N 11 ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება;
- ა (ა)იპ კოლეჯში ,,ჰორიზონტი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების: ,,ბუღალტრული აღრიცხვა“, ,,ელექტროობა“, ,,ვებტექნოლოგიები“, ,,თმის მომსახურება“, ,,სამკერვალო წარმოება“, ,,სკოლამდელი აღზრდა“, ,,სასტუმრო მომსახურება“ (განხორციელების ადგილი ლანჩხუთის სასწავლო ფართი) განხორციელების უფლების მოპოვებასთან დაკავშირებით მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების შესარჩევი ვაკანსიის გამოცხადების შესახებ“ ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი“ დირექტორის 2022 წლის 04 ნოემბრის №04-152 ბრძანება;
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები/ წინარე ხელშეკრულებები;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე/წინარე ხელშეკრულება;
- ,,ა (ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი“ ლანჩხუთის სასწავლო ფართზე თანამშრომლების სამუშაო აღწერილობების დამტკიცების შესახებ“ კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 01 სექტემბრის №04-106 ბრძანება;
- ,,ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი“პერსონალისა და სწავლის მსურველთა პირადი საქმეების წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი“ დირექტორის 2021 წლის 07 დეკემბრის №04-111 ბრძანება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიულ განათლების მასწავლებელთა ტრენინგებზე დასწრების მტკიცებულებები;
- **შესაბამისობის გეგმა -** ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი ლანჩხუთის სასწავლო ფართთან დაკავშირებით ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის (სასწავლო პროცესისთვის და ადმინისტრირებისთვის საჭირო აღჭურვილობები, პროფესიული განათლების მასწავლებლების გადამზადება) დამტკიცების შესახებ“ დირექტორის 2022 წლის 15 ნოემბრის №04-177 ბრძანებაში ცვლილების და დამატების შესახებ“ ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი“ დირექტორის 2022 წლის 22 დეკემბრის №04-217 ბრძანება;
- ,,ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი“ ლანჩხუთის სასწავლო ფართთან დაკავშირებით ავტორიზაციის მეორე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი“ დირექტორის 2023 წლის 20 იანვრის №04-11 ბრძანება;
- ,,ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი“ შიდა მარეგულირებელია აქტების ლანჩხუთის სასწავლო ფართზე გავრცელების შესახებ“ ,,ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი“ დირექტორის 2022 წლის 14 ნოემბრის №04-172 ბრძანება;
- ,,ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი“ სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ” ,,ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი“ დირექტორის 2021 წლის 06 დეკემბრის №04-202 ბრძანება (ცვლილება - 2022 წლის 07 ნოემბრის №04-145 ბრძანება)
- კოლეჯის მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ;
- კოლეჯის მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ;
- ბიბლიოთეკის შემოწმების შედეგი;
- პროგრამის ბიუჯეტები (ინტეგრირებული და არაინტეგრირებული)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კოლეჯის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგი;
- ვიზუალური დათვალიერება.

იმის გათვალისწინებით, რომ 2.2.1 (1) და 2.2. 1 (5) ინდიკატორებთან მიმართებაში არის მეტწილი შესაბამისობა ექსპერტთა ჯგუფის მიერ 2.2 კომპონენტი შეფასდა როგორც ,, მეტწილად შეესაბამება“.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ **მეტწილად შეესაბამება**

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი'' დირექტორის 2021 წლის 9 ივნისის ბრძანება N04-89 „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის შეფასების განვითარებისა და გაუქმების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-7 მუხლი ითვალისწინებს პროგრამის შეფასების მიდგომებს, შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზის მიზნებისათვის დაინტერესებული მხარეებისგან უკუკავშირის მიღების მეთოდებს, სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის შედეგებს, კოლეჯის პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელების მიერ პროგრამის ეფექტიანობის შეფასების ანალიზს.

ასევე, დაწესებულებას შემუშავებული აქვს,, ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი“ ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომელიც ეფუძნება დემინგის ციკლს.

კოლეჯში ხარისხის შიდა უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს ხარისხის მართვის მენეჯერი. შემუშავებულია პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კვლევის კითხვარები. .კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი ახორციელებს შეფასების შედეგების ანალიზს და იძლევა რეკომენდაციებს პროცესების გაუმჯობესების მიზნით.

დაწესებულებაში ფუნქციონირებს შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც ხელს უწყობს პროგრამათა დანერგვის პროცესს. არსებულ პრაქტიკას დანერგავენ ლანჩხუთის მისამართზეც.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის შეფასების განვითარებისა და გაუქმების წესის დამტკიცების შესახებ“ ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი'' დირექტორის 2021 წლის 9 ივნისის N04-89 ბრძანების მე-6 მუხლი არეგულირებს პროგრამაში ცვლილებების შეტანა და განვითარების საკითხებს, მათ შორის, განსაზღვრულია - პროგრამაში ცვლილების ინიცირების უფლების მქონე პირები: ხარისხის მართვის მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელი, მოდულის განმახორციელებელi პროფესიული განათლების მასწავლებელი, კოლეჯის პარტნიორi ორგანიზაცია და სხვა დაინტერესებულi პირები; პროგრამაში ცვლილების შეტანის ინიცირების პროცედურა; პროგრამაში ცვლილებების განხორციელების მიდგომები, მათ შორის, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმირების საკითხები; პროგრამის ხელმძღვანელის როლი პროგრამის განვითარების პროცესში; პროგრამაში ცვლილებების შეტანის თაობაზე ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტის გამოცემის საკითხები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება მოიცავს შემდეგ პროცესებს: პროგრამების შინაარსობრივი ასპექტების შეფასება; სწავლა-სწავლების პროცესის მიმდინარეობის ადექვატურობის დადგენა; მოდულის განმახორციელებელი პირების საქმიანობის შეფასება; მატერიალურ-ტექნიკური რესურსის, მასალა-ნედლეულის საკმარისობის, ავთენტურობის შეფასება; ვერიფიკაცია. პროგრამის შეფასება ხორციელდება პროფესიული სტუდენტების და პროფესიული განათლების მასწავლებლების/პრაქტიკის ინსტრუქტორების კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვით, სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე დაკვირვებით, ვერიფიკაციით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაზე ზრუნვას კოლეჯი ახორციელებს როგორც საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში, ასევე, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში წინადადებების ინიცირებების გზით. პირველ შემთხვევაში პროგრამების გაუმჯობესება შესაძლოა უკავშირდებოდეს: თემატიკის გამრავალფეროვნებას, სასწავლო მეთოდების შეცვლას, მოდულის განხორციელების მიდგომების შეცვლას, საათების გადანაწილებას, სასწავლო რესურსის შეცვლას, პროფესიული განათლების მასწავლებლის შეცვლას და სხვა. ინფორმაცია შესაძლოა მიღებული იქნას როგორც უშუალოდ პროფესიული განათლების მასწავლებლისგან, რომელიც სწავლების ერთი ციკლის დასრულების შემდეგ აანალიზებს მოდულის განხორციელების მიმდინარეობას და გამოყოფს საკითხებს, რომელთა გაუმჯობესებაც რეკომენდებულია, ასევე პროფესიული სტუდენტებისაგან, რომლებმაც უკვე დაასრულეს მოდული. შესაძლოა სწავლის მეთოდებისა და მიდგომების ან სასწავლო რესურსების გაუმჯობესების წყაროდ იქცეს საერთაშორისო პრაქტიკა, რომელსაც გაეცნო დაწესებულება და თვლის, რომ მისი დანერგვით მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების შედეგების საფუძველზე, კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს. ხარისხის მენეჯერის რეკომენდაციების საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტები ადასტურებენ, რომ ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

• „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის შეფასების განვითარებისა და გაუქმების წესის დამტკიცების შესახებ“ ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი'' -ს დირექტორის 2021 წლის 9 ივნისის №04-89 ბრძანება;

• ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი“ ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები;
• ა(ა)იპ კოლეჯი „ჰორიზონტი“ ხარისხის მართვის ინსტრუქცია;
• ხარისხის მართვის მენეჯერის სამუშაო აღწერილობა;
• კოლეჯის ვებ. გვერდზე განთავსებული კითხვარები;
• გასაუბრება ხარისხის მართვის მენეჯერთან;

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

შეფასება:

ექსპერტთა მიერ 2.3. კომპონენტი შეფასდა როგორც ,,შესაბამისი“.

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლოო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

1. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 06 დეკემბრის № 04-202 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი (ცვლილება - 2022 წლის 07 ნოემბრის №04-145 ბრძანება) არეგულირებს სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და წარმართვასთან დაკავშირებულ საკითხებს. ასევე, ,,ა (ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი" ლანჩხუთის სასწავლო ფართზე თანამშრომლების სამუშაო აღწერილობების დამტკიცების შესახებ" კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 01 სექტემბრის №04-106 ბრძანებით განსაზღვრულია ლანჩხუთის მისამართზე დასაქმებულ პირთა ფუნქცია - მოვალეობები, მათ შორის, სწავლების ორგანიზებისა და უზრუნველყოფის საკითხები. კერძოდ, ლანჩხუთის მისამართზე სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერი უზრუნველყოფს: სასწავლო გეგმის შესაბამისად, სასწავლო ცხრილების შემუშავებას და პროფესიული განათლების მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის შედგენას.

პროგრამის სასწავლო გეგმაში შეტანილია ყველა სასწავლო მოდული და განსაზღვრულია სასწავლო კვირების რაოდენობა და გათვალისწინებულია გადაბარების მინიმუმ ერთი კვირა იმ მოდულებს შორის, რომელთაგან ერთ-ერთი წარმოადგენს მეორე მოდულზე დაშვების წინაპირობას. პროფესიული სტუდენტის კვირეული საათობრივი დატვირთვა დამოუკიდებელი საათების ჩათვლით არ აღემატება 40 საათს, მათ შორის საკონტაქტო საათების რაოდენობა არ აღემატება 30 საათს. პროფესიული განათლების მასწავლებლები მოდულის დაწყებამდე შეიმუშავებენ კალენდარულ გეგმებს, პროგრამის სასწავლო გეგმაში საათების განაწილების შესაბამისად. მასწავლებელთა სამუშაო აღწერილობით გათვალისწინებულია კალენდარული გეგმის შემუშავება.

დაწესებულების სასწავლო პროცესის რეგულაციით განსაზღვრული წესი დანერგილია კოლეჯში, რაც დადასტურდა გასაუბრების დროს და იგივე წესი იმოქმედებს წარმოდგენილ პროგრამასთან მიმართებაშიც.

ექსპერტები ადასტურებენ, რომ ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით კოლეჯში სწავლა წარიმართება ორ ცვლაში ან შეჭრილი გრაფიკით.

სასწავლო პროცესის რეგულირების წესში გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების მექანიზმი. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით აქტუალური გახდა პანდემიის დროს. კოლეჯს სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გათვალისწინებული აქვს არა მხოლოდ ცალკეული სტუდენტისათვის, არამედ ცალკეული ჯგუფისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების ფარგლებში სწავლების შესაძლებლობა. მარეგულირებლის 30- ე მუხლის მიხედვით, პროფესიულ სტუდენტს/სტუდენტთა ჯგუფს უფლება აქვს ისარგებლოს ინდივიდუალური მეცადინეობის სერვისით; ინდივიდუალური მეცადინეობის ორგანიზებას ახორციელებს სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერი, პროფესიულ სტუდენტთან/სტუდენტთა ჯგუფთან და პროფესიული განათლების მასწავლებელთან შეთანხმებული განრიგით.

ინდივიდუალური მეცადინეობის სერვისის გამოყენება შეუძლია პროფესიულ სტუდენტს ან პროფესიულ სტუდენტთა ჯგუფს წერილობითი განცხადების საფუძველზე, თუ: პროფესიულ სტუდენტთა ჯგუფი ან პროფესიული სტუდენტი განმსაზღვრელი შეფასების წინ საჭიროებს ინდივიდუალურ მეცადინეობას/კონსულტაციას; პროფესიულ სტუდენტთა ჯგუფი ან პროფესიული სტუდენტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განმეორებით განმსაზღვრელი შეფასების წინ საჭიროებს ინდივიდუალურ მეცადინეობას/კონსულტაციას; ნებისმიერი დასაბუთებული გარემოება პროფესიული სტუდენტის საჭიროებიდან გამომდინარე.

ასევე, პროფესიულ სტუდენტთა ჯგუფს ან პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროფესიული განათლების მასწავლებელთან შეთანხმებული ფორმით (ელექტრონული ფოსტა, დახურული ჯგუფები, ელ. პლატფორმა, სატელეფონო კონსულტაცია და სხვა) ისარგებლოს მასწავლებელთან კონსულტაციით, იმ პერიოდულობით რაც დასჭირდება პროფესიულ სტუდენტს სწავლის შედეგების მისაღწევად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტები ადასტურებენ, რომ მექანიზმების არსებობით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირებისას გათვალისწინებულია სწავლების თანამედროვე მეთოდები. პროფესიული განათლების მასწავლებელთა სამუშაო აღწერილობა ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენების სავალდებულოობას (კოგნიტურ/შემეცნებითი უნარების განვითარება, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება და სხვა).

,,სასტუმრო მომსახურეობა“ პროგრამის მატერიალური - ტექნიკური ბაზის ჩამონათვალით დადასტურებულია, რომ პროგრამისათვის გათვალისწინებულია დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება.

შესაბამისად, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები

კოლეჯის სასწავლო პროცესის რეგულირების წესით განსაზღვრულია სწავლის შედეგების მიღწევისას პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების საკითხები. კერძოდ, სწავლის შედეგების მიღწევის მიზნებისათვის რეგულაცია ითვალისწინებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას სსსმ და შშმ პირთათვის. დოკუმენტში გაწერილია სასწავლო პროცესში შშმ და სსსმ პირთა სწავლებისა და მხარდაჭერის ღონისძიებები. ამ ეტაპზე კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების გუნდი სხვა მისამართებზე. მხარდაჭერის მექანიზმები გაწერილია და თუკი ლანჩხუთის მისამართზეც დადგება სსსმ პირთათვის მხარდაჭერის სპეციალისტების საჭიროება, არსებული გამოცდილების შესაბამისად, აიყვანენ შტატგარეშე თანამშრომლებს, რომლებიც დაფინანსდებიან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, სსსმ პირის ყოველკვარტალური ვაუჩერული დაფინანსების ფარგლებში.

ასევე, მარეგულირებლით გათვალისწინებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი და პროცედურა პროფესიული სტუდენტის მობილობის, სტატუსის აღდგენის შემთხვევებისათვის.

შესაბამისად, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები და ექსპერტები ადასტურებენ, რომ ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამა არის კოოპერაციული. ცალკეული სწავლის შედეგები მიიღწევა პარტნიორ ორგანიზაციებში. კერძოდ: სასტუმრო ,,ვილა რეტა“-სთან გაფორმებული 2022 წლის 07 ნოემბრის N 6 ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების მიხედვით სასტუმროს ბაზაზე მიიღწევა მოდულების: ,სასტუმროსა და რესტორნის - სამზარეულოს დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფა“ და ,,სასტუმროს კვებისა და სასმელების მომსახურეობის უზრუნველყოფა რამდენიმე სწავლის შედეგი.. სასტუმრო აცხადებს სწავლებისათვის მიიღოს 15 პროფესიული სტუდენტი (ჯგუფში არაუმეტეს 8 სტუდენტის). წარმოდგენილ ხელშეკრულებას დანართით სახით ახლავს მატერიალური რესურსის ჩამონათვალი რომელიც საჭიროა სწავლის შედეგების მისაღწევად.

სასტუმროსთან ,,ვილა რეტა“ ასევე გაფორმებულია 2022 წლის 07 ნოემბრის N 8 ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება, საწარმოოო პრაქტიკის მოდულის მათ ბაზაზე განხორციელებასთან დაკავშირებით

მოდულისათვის ,,საწარმოო პრაქტიკა“ კოლეჯს ასევე ჰყავს პარტნიორი - ,,დარბაზი დავითი, ,,ა(ა)იპ კოლეჯს ,,ჰორიზონტი“ და ,,დარბაზი დავითი“ (სასტუმრო) შორის გაფორმებული 2022 წლის 07 ნოემბრის N 11 ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების მიხედვით, სასტუმრო აცხადებს მზაობას პრაქტიკაზე მიიღოს არაუმეტეს 7 სტუდენტი ერთ მიღებაზე.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტები ადასტურებენ, რომ კოლეჯის თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებებით.

6. **სასწავლოო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით**

ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა დაათვალიერეს ,,სასტუმრო მომსახურების“ პროგრამის C სასწავლო გარემო. სარემონტო სამუშაოები სრულად დასრულებულია. ვიზიტისას C გარემოში (სამრეცხაო) ფართში გამოიკრა პროფესიულ სტუდენტთა მიერ გასათვალისწინებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უსაფრთხოების წესები, მანიშნებლები. პარტნიორებთან გაფორმებული ხელშეკრულებებითაც გათვალისწინებულია პროფესიული სტუდენტების სწავლების უსაფრთხო სამუშაო გარემოთი უზრუნველყოფა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტები ადასტურებენ, რომ ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

▪ საგანმანათლებლო პროგრამა - ,,სასტუმრო მომსახურება“

▪ ,,ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი”სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ” ,,ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი“ დირექტორის 2021 წლის 06 დეკემბრის №04-202 ბრძანება (ცვლილება - 2022 წლის 07 ნოემბრის №04-145 ბრძანება)

▪ კალენდარული გეგმის ნიმუში;

▪ ,,ა (ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი“ ლანჩხუთის სასწავლო ფართზე თანამშრომლების სამუშაო აღწერილობების დამტკიცების შესახებ“ კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 01 სექტემბრის №04-106 ბრძანება;

▪ ,,ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი“ შიდა მარეგულირებელია აქტების ლანჩხუთის სასწავლო ფართზე გავრცელების შესახებ“ ,,ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი“ დირექტორის 2022 წლის 14 ნოემბრის №04-172 ბრძანება;

▪ ინდ. სასწავლო გეგმის შემუშავების წესი;

▪ ,,ა(ა)იპ კოლეჯს ,,ჰორიზონტი“ და სასტუმრო ,,ვილა რეტა“ - ს შორის გაფორმებული 2022 წლის 07 ნოემბრის N 6 და №8 ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულები;,,ა(ა)იპ კოლეჯს ,,ჰორიზონტი“ და ,,დარბაზი დავითი“ (სასტუმრო) შორის გაფორმებული 2022 წლის 07

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

▪ N 11 ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება;

▪ სასწავლო გარემოს დათვალიერების შედეგი;

▪ პასუხისმგებელ პირებთან, განმახორციელებლებთან, პარტნიორთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

ექსპერტთა მიერ **2.4.1 კომპონენტი შეფასდა როგორც „შესაბამისი“.**

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური

,,ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი" სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 06 დეკემბრის №04-202 ბრძანება არეგულირებს პროფესიული სტუდენტის შეფასების საკითხებს, მათ შორის, შეფასების აპელაციის წესს. რეგულაციაში ბოლო ცვლილება განხორციელდა 2022 წლის 07 ნოემბრის №04-145 ბრძანებით და მასში აისახა მოდულურ პროგრამებზე შუალედური შეფასების ჩატარების წესი და პროცედურა. რეგულაციის 39 - ე მუხლი განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა შეფასების წესს. დაწესებულებას დამტკიცებული აქვს შეფასების ინსტრუმენტის ფორმა. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 30 ნოემბრის N 04- 202 ბრძანებით კი დამტკიცებულია ვერიფიკაციის მექანიზმი და პროფესიული სტუდენტის შეფასების ინსტრუქცია. ლანჩხუთის მისამართზე შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური მხარის ვალიდაციას, სამუშაო აღწერილობის მიხედვით, განახორციელებს სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერი, შინაარსობრივი მხარისას კი - დარგის სპეციალისტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო პროცესის მარეგულირებლით გათვალისწინებულია ინტეგრირებული ზოგადი მოდულების ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების თავისებურებები.

ზემოაღნიშნული რეგულაციების ანალიზით ექსპერტები ადასტურებენ, რომ პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 30 ნოემბრის N 04- ,202 ბრძანებით დამტკიცებულია ვერიფიკაციის მექანიზმი. კოლეჯი ვერიფიკაციას ახორციელებს სამი მიმართულებებით: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის მექანიზმი მოიცავს შემდეგ საკითხებს: შერჩევის მექანიზმი (რისკების სისტემა); ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი; ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირები; ვერიფიკაციის პროცედურა (დასკვნა, დასკვნის განხილვა, სამოქმედო გეგმა და ა.შ). ვერიფიკაციის პროცესს ხელმძღვანელობს ხარისხის მართვის მენეჯერი.

წარმოდგენილი დოკუმენტი შემუშავებულია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების საფუძველზე და **ექსპერტები ადასტურებენ, რომ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.**

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯში შემუშავებულია/დამტკიცებულია შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაციის შენახვის წესი (სასწავლო პროცესის რეგულირების წესი). შეფასების მტკიცებულებების შენახვის ვადად განსაზღვრულია კვალიფიკაციის ს მინიჭებიდან 3 წელი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის

სასწავლო პროცესის რეგულირების წესით გათვალისწინებულია სასწავლო პროცესში განმავითარებელი შეფასების გამოყენება, რომელიც პროფესიული განათლების მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების მიღწევის დონე სწავლის შედეგებთან მიმართებაში და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის. რეგულაციით გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება მათ შეფასებასთან დაკავშირებით, პერსონალური მონაცემების დაცვის გათვალისწინებით და ასევე, შედეგების საფუძველზე პროფესიული განათლების მასწავლებლებისაგან დამატებითი კონსულტაციების მიღების შესაძლებლობა. აღსანიშნავია, რომ პროფესიული სტუდენტების მიერ შესავსები კითხვარი, რომლითაც ფასდება მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა, მოიცავს შეკითხვებს, რომელთა მეშვეობით ხარისხის მართვის მენეჯერს შეეძლება აღნიშნული ინდიკატორის შეფასება.

აღსანიშნავია, რომ განმავითარებელი ფუნქცია ექნება შუალედურ შეფასებასაც, რომლის ფარგლებში განხორციელდება პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება, იდენტიფიცირდება გამოწვევები, როგორც კონკრეტული სტუდენტის საჭიროებები, ასევე, საჭიროებები, რომელთა გადაჭრა ხელს შეუწყობს პროგრამის განვითარებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის და ამ მიდგომას ისინი დანერგავენ ლანჩხუთის მისამართზე ,,სასტუმრო მომსახურების“ პროგრამასთან მიმართებაშიც.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ,,ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი”სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ'' ,,ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი“ დირექტორის 2021 წლის 06 დეკემბრის №04-202 ბრძანება (ცვლილება - 2022 წლის 07 ნოემბრის №04-145 ბრძანება);
- ,,ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი”ს დირექტორის 2020 წლის 30 ნოემბრის N 04- ,202 ბრძანებით დამტკიცებულია ვერიფიკაციის მექანიზმი;
- ,,ა (ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი“ ლანჩხუთის სასწავლო ფართზე თანამშრომლების სამუშაო აღწერილობების დამტკიცების შესახებ“ კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 01 სექტემბრის №04-106 ბრძანება;
- პროფესიული სტუდენტის ინტერვიუირების კითხვარი;
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

2.4 2 კომპონენტი შეფასდა როგორც ,,შესაბამისი“

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

იმის გათვალისწინებით, რომ 2.2 კომპონენტი შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება“, პროგრამაც შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი №1. ვიზიტის დღის წესრიგი (2 გვერდი)

დანართი №2 - შესაბამისობის გეგმა (ცვლილების აქტი - 2022 წლის 22 დეკემბრის №04-217 ბრძანება ერთ გვერდზე და ელექტრონული დანართები: სასტუმრო მომსახურება; კლას- კაბინეტი B გარემო; საოფისე რესურსი; მასწავლებელთა გადამზადება; ბიბლიოთეკის რესურსი)

დანართი №3 - სასწავლო რესურსის გადაცემის მიღება - ჩაბარების აქტი (3 გვერდი)

დანართი №4,,ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი" ლანჩხუთის სასწავლო ფართთან დაკავშირებით ავტორიზაციის მეორე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის დამტკიცების შესახებ" ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი" დირექტორის 2023 წლის 20 იანვრის №04-11 ბრძანება.

26. 01.2023

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: